საქართველო

ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საქართველოს რეგიონული ხელმისაწვდომობისა და ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი

(P513957)

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (ESCP)

შეფასების პროექტი

დეკემბერი 2025

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა

1. მსესხებელი განახორციელებს საქართველოს რეგიონული დაკავშირებადობის პროექტს (შემდგომში - „**პროექტი**“) საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა (შემდგომში - „**სგდ**“) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოშ“– ის (შემდგომში -„**აწარმოე საქართველოში**“) მონაწილეობით, როგორც ეს განსაზღვრულია სესესხო ხელშეკრულებით. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (შემდგომში – „**ბანკი**“) დათანხმდა პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფას ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
2. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განხორციელება წარიმართოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) და წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (ESCP) მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, ბანკისთვის მისაღები ფორმით. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა წარმოადგენს სესასეო ხელშეკრულების ნაწილს. თუ ამ დოკუმენტში სხვა რამ არ არის განსაზღვრული, აქ გამოყენებულ ტერმინებს, რომლებიც დიდი ასოებითაა მოცემული, აქვთ სესხის ხელშეკრულებით მინიჭებული მნიშვნელობა.
3. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა განსაზღვრავს იმ არსებით ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომლებიც მსესხებელმა უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს მოიცავს განსაზღვრული ვადების დაცვას, შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფას, პერსონალის დაკომპლექტებას, ტრენინგების ჩატარებას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას, აგრეთვე საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებას. ESCP ასევე განსაზღვრავს გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) დოკუმენტებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს ან განახლდეს, განხილულ იქნას, გასაჯაროვდეს და განხორციელდეს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში, ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით. აღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალუირ დოკუმენტები შეიძლება პეიროდულად განხლდეს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. როგორც გათვალისწინებულია აღნიშნული სასესხო ხელშეკრულებით, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი ფინანსური რესურსი გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (ESCP) განხორციელების ხარჯების დასაფარად.
4. ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმების შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (ESCP) საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად გადაიხედება, ცვლილებების ადაპტური მართვის, გაუთვალისწინებელ გარემოებებზე რეაგირების ან პროექტის განხორციელების ეფექტიანობის შეფასების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ESCP-ში ცვლილებების შეტანა უნდა გაფრომდეს დოკუმენტურად წერილობით, ბანკსა და მსესხებელს შორის წერილების გაცვლის გზით, რომელსაც

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

ხელს მოაწერენ სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი წარმომადგენლები. მსესხებელი უზრუნველყოფს განახლებული ESCP-ის დაუყოვნებლივ გამჟღავნებას.

5. ქვემოთ წარმოდგენილი ქვეთავი „განხორციელებისთვის მზადყოფნის ინდიკატორები“ -განსაზღვრავს იმ ქმედებებსა და ზომებს, რომლებიც უნდა გაკონტროლდეს პროექტის მზადყოფნის შესაფასებლად, განხორციელების დასაწყებად ამ ESCP-ის შესაბამისად. თუმცა, ამ ESCP-ში განსაზღვრული ყველა ქმედება და ღონისძიება უნდა შესრულდეს დოკუმენტში მითითებული „ვადების“ სვეტში მითითებული წესით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ისინი ჩამოთვლილი აღნიშნულ ქვეთავში.

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
ინსტ. შესაძლებლობების რეალიზაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები			
A	ორგანიზაციურლი სტრუქტურა ა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფარგლებში პროექტის განხორციელებელი ერთეულის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალითა და საკმარისი ადამიანური რესურსებით, პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (E&S) რისკებისა და ზემოქმედებების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ერთეული უნდა მოიცავდეს, სულ მცირე: ერთ გარემოსდაცვით სპეციალისტს, ერთ სოციალურ/განსახლების სპეციალისტს, ერთ შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე ერთ გენდერული საკითხებისა და თემთან ურთიერთობის სპეციალისტს. ყველა მითითებულ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ბანკისთვის მისაღები შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.	*აღნიშნული ერთეული უნდა შეიქმნას ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში და შენარჩუნდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ
B	ინსტიტუციური გაძლიერების გეგმა/ღონისძიებები პროექტის ფარგლებში უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შემდეგი ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები: • ხელი შეუწყვეთ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ძირითადი თანამშრომლების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების მონაწილეობას ბანკის მიერ პროექტის განმახორციელებელი ერთეულისათვის შემოთავაზებულ სასწავლო სესიებში. • პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისთვის მკაფიო, გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით ინფორმაციის მიწოდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ, მათ შორის	პროექტის განმახორციელებელი ერთეულის *სასწავლო ღონისძიებების გრაფიკის მიხედვით* *დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო შეხვედრების დროს, რომლებიც უნდა ჩატარდეს ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების განსახილველად.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
	ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხებისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.		
მონიტორინგი და ანგარიშგება			
C	<u>რეგულარული ანგარიშგება</u> პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (E&S) მოთხოვნების შესრულების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშები უნდა მომზადდეს და წარედგინოს ბანკს. აღნიშნული ანგარიშები, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: • ESCP-ით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების მიმდინარე სტატუსს; • დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) შესაბამისად განხორციელებული ჩართულობის აქტივობების შეჯამებას; • საჩივრების განხილვის მექანიზმ(ებ)ში წარდგენილი საჩივრების შესახებ მონაცემებს, მათ შორის საჩივრების რეესტრს და მათი განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში მიღწეულ პროგრესს; • კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების შესახებ ინფორმაციას, როგორც ეს ასახულია კონტრაქტორებისა და საზედამხედველო კომპანიების ყოველთვიურ ანგარიშებში; • ქვემოთ „E“ სვეტში მითითებული ქმედებების ფარგლებში დაფიქსირებული ინციდენტებისა და ავარიების რაოდენობას და მათი რეაგირებისა და გადაწყვეტის სტატუსს.	*ანგარიშგება უნდა განხორციელდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, ძალაში შესვლის თარიღიდან დაწყებული, ბანკისთვის კვარტალური ანგარიშების წარდგენის გზით. თითოეული ანგარიში ბანკს უნდა წარედგინოს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
D	**კონტრაქტორების ყოველთვიური ანგარიშები** მოითხოვეთკონტრაქტორებისა და საზედამხედველო კომპანიებისგან გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მოთხოვნების შესრულების შესახებ ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა, შესაბამის სატენდერო დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებში განსაზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად. აღნიშნული ანგარიშები უნდა წარედგინოს ბანკს.	*რეგულარულად წარმოადგინეთ საზედამხედველო კომპანიების ყოველთვიური ანგარიშები და კონტრაქტორების ანგარიშები მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის კომპანიებთან და კონტრაქტორებთან კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან.*	სგდ
E	**ინციდენტები და ავარიები** აცნობეთ ბანკს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის ან ავარიის შესახებ, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებზე, საზოგადოებაზე ან მუშაკებზე, მათ შორის ისეთი შემთხვევების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მუშაკთა ან საზოგადოების წევრთა გარდაცვალებასთან ან მძიმე დაზიანებასთან; ძალადობის, დისკრიმინაციის ან საპროტესტო აქტებთან; კულტურული მემკვიდრეობის ან ბიომრავალფეროვნების რესურსებზე გაუთვალისწინებელ ზემოქმედებასთან; გარემოს დაბინძურებასთან; კაშხალის მწყობრიდან გამოსვლასთან; იძულებითი ან ბავშვთა შრომის შემთხვევებთან; სათანადო პროცედურების გარეშე გადაადგილებასთან (იძულებითი გამოსახლება); სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის (SEA) ან სექსუალური შევიწროების (SH) ბრალდებებთან; აგრეთვე ინფექციური დაავადებების აფეთქებებთან. მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდეთ ბანკს ინციდენტის ან ავარიის შესახებ ხელმისაწვდომი დეტალური ინფორმაცია. უზრუნველყავით თითოეული ინციდენტის ან ავარიის სათანადო შესწავლა, მისი უშუალო, ძირითადი და გამომწვევი მიზეზების დასადგენად. აღნიშნულის საფუძველზე უნდა მომზადდეს, ბანკთან შეთანხმდეს და	*ინციდენტის ან ავარიის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში მსესხებელმა უნდა აცნობოს ბანკს აღნიშნული ფაქტის შესახებ.* *პირველადი შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, თუ ბანკთან წერილობით არ შეთანხმდება სხვა ვადა, ბანკს უნდა წარედგინოს ინციდენტის ან ავარიის განხილვის ანგარიში და შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა.* *მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს ინციდენტებისა და ავარიების შესახებ შეტყობინებისა და ანგარიშგების სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება პროექტის*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
	განხორციელდეს გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინციდენტის ან ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად და მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან ასაცილებლად საჭირო კონკრეტულ ზომებსა და ქმედებებს.	*განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	
ESS 1: გარემოსდაცითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა			
1.1	**გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და მართვის გეგმები** კახეთის ავტომაგისტრალისა და გურჯაანი-თელავის შემოვლითი გზის ბადიაური-ჩალაუბნისა და ჩალაუბანი-ბაკურციხის მონაკვეთების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMPs) დასრულება, გამოქვეყნება, კონსულტაციის დამტკიცება და განხორციელება გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდართებთან შესაბამისობაში და ბანკისთვის მისაღები ფორმით.	*უზრუნველყავით კახეთის ავტომაგისტალის მონაკვეთების ESIA ანგარიშის დასრულება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება, ხელახლა გამოქვეყნება და დამტკიცება ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.* *გურჯაანი–თელავის შემოვლითი გზის ESIA ანგარიში უნდა განახლდეს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები უნდა ჩატარდეს, ანგარიში ხელახლა გამოქვეყნდეს და დამტკიცდეს სამუშაოების ტენდერის გამოცხადებამდე.* *პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში აუცილებელია უზრუნველყოთ ყველა ESIA ანგარიშისა და თანდართული ESMP-ების მოთხოვნების დაცვა.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
1.2	**კონტრაქტორების მართვა** უზრუნველყავით გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (ESCP) შესაბამისი ასპექტების, მათ შორის ESIA ანგარიშების, შრომითი რესურსების მართვის პროცედურების და ქცევის კოდექსის გათვალისწინება შესყიდვების დოკუმენტებსა და კონტრაქტორებთან და ზედამხედველ ფირმებთან გაფორმებული კონტრაქტების გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციფიკაციებში. შემდგომ, უზრუნველყავით, რომ კონტრაქტორებმა და ზედამხედველმა ფირმებმა შეასრულონ აღნიშნული მოთხოვნები და თავის მხრივ მოითხოვონ ქვეკონტრაქტორებისგან თავიანთი კონტრაქტების გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციფიკაციების დაცვა. ბანკს მიაწოდეთ კონტრაქტორებთან/ქვეკონტრაქტორებთან და ზედამხედველ ფირმებთან გაფორმებული შესაბამისი კონტრაქტების ასლები.	*სამუშაოების ტენდერის გამოცხადებამდე უზრუნველყავით, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში აისახოს გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომითი რესურსების მართვის პროცედურების მოთხოვნები.* *დაავალეთ კონტრაქტორებსა და ზედამხედველ ორგანიზაციებს, რომ კონტრაქტის ვადის განმავლობაში სრულად დაიცვან თავიანთი კონტრაქტებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკაციები.* *ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყავით კონტრაქტების ასლების მიწოდება ბანკისთვის.*	სგდ
1.3	**ტექნიკური დახმარება** პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს კონსულტაციები, კვლევები, ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებები, ტრენინგები და სხვა ტექნიკური დახმარების (TA) აქტივობები ბანკისთვის მისაღები ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESS). ამის შემდეგ, აღნიშნული აქტივობების შედეგები უნდა მომზადდეს, შეფასდეს და დასრულდეს ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისად.	*ტექნიკური დახმარების (TA) დაწყებამდე, ტექნიკურ დავალებაში (TOR) უნდა შეიტანოთ შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის პირობები. უზრუნველყავით, რომ ტექნიკური დავალება სრულად შეესაბამებოდეს ამ მოთხოვნებს და მისი შედეგები მიღწეულ იქნას პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
1.4	**რეტროაქტიულ დაფინანსებას დაქვემდებარებული აქტივობები** რეტროაქტიულ დაფინანსებას დაქვემდებარებული აქტივობებისთვის, ჩაატარეთ შესაბამის გარემოსდაცვით სტანდარტებთან გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის შესაბამისობის აუდიტი და, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შეიმუშავეთ და განახორციელეთ გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.	*რეტროაქტიულ დაფინანსებას დაქვემდებარებული აქტივობებისთვის ჩაატარეთ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისობის აუდიტი და, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შეიმუშავეთ და განახორციელეთ გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.*	სგდ
ESS 2: შრომა და სამუშაო პირობები			
2.1	**შრომითი რესურსების მართვის პროცედურები** უზრუნველყავით შრომითი რესურსების მართვის პროცედურების მომზადება, დასრულება და განხორციელება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS2-ისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.	*უზრუნველყავით შრომითი რესურსების მართვის პროცედურების დასრულება ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში, და შეასრულეთ შრომითი რესურსების მართვის პროცედურები პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ
2.2	**შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა** კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი არიან მოამზადონ და განახორციელონ შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (OHS) მართვის	*პრეტენდენტებმა თავიანთ სატენდერო წინადადებებში უნდა ჩართონ OHS მართვის კორპორატიული პრინციპები, ხოლო შერჩეულ კონტრაქტორებს*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
	გეგმები, დამკვეთის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებისა (ESMP) და მათი ხელშეკრულებების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად.	*უნდა დაევალოს დეტალური OHS მართვის გეგმების შემუშავება, რომლებიც დააკმაყოფილებს ზედამხედველი კომპანიისა და დამკვეთის მოთხოვნებს მობილიზაციის პერიოდში.*	
2.3	**პროექტის ფარგლებში დასაქმებული მუშაკებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმი** პროექტის ფარგლებში დასაქმებული მუშაკებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის (GR) შექმნა და შენარჩუნება შრომითი რესურსების მართვის პროცედურებისა (LMP) და ESS2-ის მოთხოვნების შესაბამისად.	*პროექტში თანამშრომლების ჩართვამდე უნდა შეიქმნას საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც შემდგომ უნდა შენარჩუნდეს და ფუნქციონირებდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ
ESS 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა			
3.1	**ნარჩენების მართვა** პროექტისთვის გამოსადეგი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების იდენტიფიცირება ESIA-ს მეშვეობით და მათი ჩართვა დამკვეთის ESMP-ში. კონტრაქტორების მიერ ობიექტზე შემუშავებულ უნდა იქნას სპეციფიკური ნარჩენების მართვის გეგმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ESIA-ს ანგარიშთან, დამკვეთის ESMP-სთან და ESS3-ის მოთხოვნებთან.	*ტენდერის ჩატარებამდე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები იქნას შეტანილი სატენდერო დოკუმენტაციაში.* *უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება პროექტის განხორციელების სრულ პერიოდში.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
3.2	**რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა** რესურსების ეფექტურობისა და დაბინძურების პრევენციისა და მართვის ზომები უნდა იყოს ინტეგრირებული ESMP-ებში, რომლებიც მომზადდება ზემოთ აღნიშნული ქმედება 1.1-ის ფარგლებში.	*ვადები შეესაბამება ESMP-ების მომზადების ვადებს.*	სგდ
ESS 4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება			
4.1	**საგზაო მოძრაობა და საგზაო უსაფრთხოება** ზემოთ აღნიშნული ქმედება 1.1-ის ფარგლებში მომზადებულ ESMP-ში უნდა იყოს ინტეგრირებული საგზაო მოძრაობისა და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მართვის ზომები.	*ვადები შეესაბამება ESMP-ების მომზადების ვადებს.*	სგდ
4.2	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** პროექტის საქმიანობიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის წარმოქმნილი კონკრეტული რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, სამშენებლო ტექნიკისა და აღჭურვილობის გადაადგილება; ხმაურის, მტვრისა და ემისიების გავრცელება; ადგილობრივი გზების, ღობეების და სხვა ქონების შემთხვევით დაზიანება; სამუშაო ძალის შემოდინება; პროექტის მუშაკების ქცევა და სხვა შესაბამისი ფაქტორები. ზემოთ აღნიშნული ქმედება 1.1-ის შესაბამისად მომზადებულ ESMP-ებში ასახული უნდა იქნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შემარბილებები ღონსძიებები და მოთხოვნილი უნდა იქნას კონტრაქტორებისგან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის ისეთი გეგმების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს ზედამხედველი კომპანიისა და დამკვეთის მოთხოვნებს.	*ვადები შეესაბამება ESMP-ების მომზადებისა და განხორციელების ვადებს.* *კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, რომ მობილიზაციის ეტაპზე შეიმუშავონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმები და უზრუნველყონ მათი განხორციელება პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
4.3	**სექსუალურ ექსპლუატაციასთან და ძალადობასთან/სექსუალურ შევიწროებასთან (SEA/SH) დაკავშირებული რისკები** SEA/SH-სთან (სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა / სექსუალური შევიწროება) დაკავშირებული რისკების პრევენციისა და შემსუბუქების მიზნით ზომები უნდა იქნას მიღებული პროექტის LMP-ის შესაბამისად. კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი არიან შეიმუშავონ და დაიცვან ქცევის კოდექსი ყველა თანამშრომლისთვის, შექმნან და ამოქმედონ SEA/SH-სთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის მექანიზმი, ასევე ჩაატარონ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ყველა თანამშრომლისა და საზოგადოების წევრისათვის SEA/SH-სთან დაკავშირებულ რისკებზე და მათ შემარბილებელ ღონისძიებებზე.	*სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებამდე სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა იყოს მოცემული SEA/SH-სთან დაკავშირებული რისკების პრევენციისა და შემარბილებელი ზომების მოთხოვნები.* *კონტრაქტორების მიერ ქცევის კოდექსის დაცვის, საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირებისა და პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში ტრენინგების ჩატარების მონიტორინგი.*	სგდ
4.4	**უსაფრთხოების მართვა** პროექტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები უნდა შეფასდეს და შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდეს მათი მართვის მიზნით, რაც მოიცავს უსაფრთხოების პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებულ რისკებს, პროექტის ფარგლებში დასაქმებული მუშაკების, ობიექტების, აქტივებისა და აქტივობების დაცვის მიზნით, როგორც ეს განსაზღვრულია ESMP-ში.	*ვადები შეესაბამება ESMP-ის მომზადებისა და განხორციელების ვადებს.*	სგდ
ESS 5: მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება			
5.1	**განსახლების გეგმები** მიმდინარე განსახლების გეგმები (RP) უნდა განახლდეს და განხორციელდეს ESS5-ის შესაბამისად.	*შესაბამისი სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს შესაბამისი განსახლების გეგმების განახლება და განხორციელება, მათ შორის უზრუნველყოფა იმისა, რომ მიწისა და*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
		მასთან დაკავშირებული აქტივების მფლობელობაში გადასვლამდე სრულად განხორციელდეს კომპენსაცია და უზრუნველყოფილ იქნას გადაადგილებულ პირთა განსახლება.	
ESS 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა			
6.1	ბიომრავალფეროვნების მართვა ბიომრავალფეროვნების რისკები უნდა შეფასდეს ESIA-ის მეშვეობით, ხოლო მათი შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნას მოცემული დამკვეთის ESMP-ებში. კონტრაქტორები ვალდებულნი არიან გამოიყენონ ბიომრავალფეროვნების რისკებთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც შესაბამისობაშია დამკვეთის ESMP-ებთან და ESS6-ის მოთხოვნებთან.	*სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებამდე სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა იქნას შეტანილი ბიომრავალფეროვნების რისკების შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ხოლო პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შესახებ.*	სგდ
ESS 7: მკვიდრი მოსახლეობა/საჰარის სამხრეთ მდებარე აფრიკის რეგიონისა და ისტორიულად არაუზრუნველყოფილი ტრადიციული ადგილობრივი თემები			
აღნიშნული სტანდარტი არ მოდის პროექტთან შესაბამისობაში.			
ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა			
8.1	კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რისკები და მათი გავლენა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რისკები შეფასებული უნდა იყოს ESIA-ებში, ხოლო მათზე რეაგირების შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები შეტანილ უნდა იქნას დამკვეთის ESMP-ებში. კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, განახორციელონ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რისკების შემარბილებელი	*სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებამდე სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა იქნას შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის რისკების შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ხოლო*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
	ღონისძიებები დამკვეთის ESMP-ებთან და ESS8-ის მოთხოვნების შესაბამისად.	*პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი აღნიშნული მოთხოვნების დაცვის შესახებ.*	
8.2	**შემთხვევითი აღმოჩენები** ESIA-ს ანგარიშებსა და თანდართულ დამკვეთის ESMP-ებში, შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურები აღწერილი და განხორციელებული უნდა იყოს. კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, შემთხვევითი აღმოჩენები მართონ დამკვეთის ESMP-ებში აღწერილი პროცედურებისა და ESS8-ის მოთხოვნების შესაბამისად.	*სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებამდე სატენდერო დოკუმენტებში შემთხვევითი აღმოჩენების მართვის პროცედურები უნდა იქნას ჩართული, ხოლო პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა განხორციელდეს მონიტორინგი აღნიშნული პროცედურების დაცვის შესახებ.*	სგდ
ESS 9: ფინანსური შუამავლები			
აღნიშნული სტანდარტი არ მოდის პროექტთან შესაბამისობაში.			
ESS 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამოქვეყნება			
10.1	**დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა** პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) განახლება და განხორციელება ESS10-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ზომებს, მათ შორის, იმისთვის, რომ დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს დროული, შესაბამისი, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაცია და ჩატარდეს კონსულტაციები კულტურულად შესაბამის ფორმატში, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე.	*SEP უნდა განახლდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 30 დღეში და შემდეგ მისი განხორციელება უნდა გაგრძელდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	სგდ
10.2	**პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი** პროექტის ფარგლებში უნდა შეიქმნას, გამოქვეყნდეს, შენარჩუნდეს და მართვადი გახდეს ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმი (GM), ESS10-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული შეშფოთებებისა და საჩივრების მიღებას და მათ სწრაფ, ეფექტურ, გამჭვირვალე, კულტურულად შესაბამის ფორმატში	*საჩივრების მართვის მექანიზმი (GM) უნდა შეიქმნას, მისი ამოქმედება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში და*	სგდ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	მატერიალური ღონისძიებები და ქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი პირი/ორგანო
	გადაჭრას. მექანიზმი უნდა იყოს ხელმისაწვდომი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მხარისთვის, უფასო, ანგარიშსწორებისგან თავისუფალი და მოიცავდეს ასევე ანონიმურად წარდგენილ საჩივრებს. საჩივრების განხილვის მექანიზმი აღჭურვილი უნდა იყოს SEA/SH-თან დაკავშირებული საჩივრების მიღების, რეგისტრაციისა და ეფექტური გადაწყვეტის ხელშეწყობისათვის, მათ შორის მსხვერპლთა შესაბამის გენდერული ძალადობის სერვის პროვაიდერებთან გადამისამართებით, ყველაფერი უნდა ხდებოდეს უსაფრთხო, კონფიდენციალურ და მსხვერპლზე ორიენტირებულ გარემოში.	*ფუნქციონირება უნდა შენარჩუნდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.*	
განხორციელების მზადყოფნის ინდიკატორები			
	ზემოთ მოცემულ A ნაწილში ჩამოთვლილი PIU სპეციალისტები პროექტზე დაინიშნნენ. კახეთის გზატკეცილის მონაკვეთებისათვის ESIA-ს ანგარიშები და ESMP-ები დასრულდა და ხელახლა გამოქვეყნდა. პროექტის LMP და SEP დასრულებული და დამტკიცებულია. პროექტის GM შემუშავებულია და შესულია ექსპლუატაციაში.		

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის